31
321

# ცისკარი

**1858**

აპრილის წიგნი მეოთხე

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

# ლექსები

---

## ბაიათი

იადონს ის ევარდა,
ჲ სუმბულს ის ევარდა,
თქვა მაისმა მე თქჳენგან დაბმულვ ვარ ის ევარდა.
შავშან შაშვმან ისტვინა,
ბირველ ვინ ჰკლა ისტვინა,
ეშვის ხმასა შეაძლა აშორ ცრემლის ისტვინა.
მოლაღურმან შალახმა,
შევლო გულს მან შალახმა,
დაეკონა დულამბარს დაჰსჭრა ჲ მან შალხმა.
თუთი ლაღობს რა დაწვალ,
მას ვადარნეთ რადა წვალ,
ვეჭვ უაუაჩო უხარის, გულს აჩნია ჲ დაწვალ.
ვვრიტი ყელსა უგარებს,
არ აკ კმასა უგარებს,
შეტკბონათ შედუდუნებს თვალ შებნელით გუგარებს.

1.

ნარგიზ დარა მან დარა,
რამეა დარა მანდ არა,
აჭიკჭიკდა მერცხალი სათზედ დარა მან დარა.
ბაგედ ვჰსთქვ შენდა ლალო,
უცხოს ხმის გშვენს დალალო,
ჭაირს ტოროლა დაგტრფის შეგბრალდეს შენ და-
ლალო.

ნარინჯთა დახედ დახედ,
მოკრეფად ჭ ხედ ჭ ხედ,
მიჯნურმა კმა შეაწუხე ტან ალვად დახედ დახედ.

ბესარიონ გაბა-შვილი.

---

## ბ ა ი ა თ ი

ვიწყო წერა მაჯამით,
დაშურეს ჩემი მაჯა მით,
დებავ ნექტარის ნაცრულად მასვი გსტირი მა ჯამით..

მუზნო ჩემ კერძ მომართვით,
მოდით ებნის მომართვით,
გრაციის ალსამკობლად ლექსნი თხზულნი მომართვით..

მსურს მას ვრქუა ბაიათი,
შებკული ბაიათი,
კუპიდონისა ისრებს ვინ ისვრის ბაიათი.

ბედსა ვხედავ მზარადა,
რისხჳას მირევს მზარადა,
მიკვირს თუ კრული გული, საკუთად არის მზა რადა?

გული ეშხზე წარევო,
მის ლახვარზედ წარევო,
სუსტ ქმნილი დანაშთობი, ცრემლო შენ არ წარევო!

თ. ალ. ჭავჭავაძე.

---

## კოლოსიდეოს

ნამდვილს პოეტს, სულით, გულით, აქჳს ესრეთ ჩჳეულებას!
არად იჩნევს კაცთ განკიცხვას, მხოლოდ ერთს ფებს ეუბრება,

ერთს გზაზედან მდინარეობს, არვის ამლევს ყურადღებას,
რასაცა გრძნობს, მჭევრ სიტყჳეწნით წარმოსთქჳამს თჳს გულის ნებას.

შექსპირს, გოეტეს თჳთ ჩუენს რუსთველსცა, ვუწყით აქჳნდათ ეს თჳსება,
ვჭვრეტ პოეტო და მიხარის, რომ შენცა გაქჳს ეს ღირსება.

გხედავ, ვატკბობ თვალთა ჩემთა, ვით აღსრულებ მუზთ მცნებათა;
ვით ამტკვერებ შენთ ფერკთ ქუჩშე, მზვარობრივთა ოცნებათა;

ვით შორდები, სიკეკლუცით მდიდრად-შემკულთ ქალთ წყებათა,
რადგანც უწყი, რომ გონებას, უმსთ ავნონ მათ მშვენებათა..

დაესხენი, ავ-სიტყუვებით, მეშურეთა ჰქმნან შურობა,
დავიწინწკლონ, ზეგარდამო-ნიჭებულის დაე შრომა,

გინდ პირთაცა განკიცხვიდნენ, — იგი გონით ბნელ-დებიან,
არარანი არან იგი ჲ არარად მოკვდებიან.

უკეთუ რომ ნიჭს, რომელი გაქუს ზენით მოვლე-ნილი,
დაუყვედრად მოიხმარებ მას, რომელ არს განსდე-ვნილი,

ნეტარ მაშინ, შენ პოეტო! ყოველთზედ ხარ უდიდესი,
წინ მოგელის შჳლის-შჳლთაგან, შენ, დიდება თჳთ უვრცესი!

არსებობა ეგე შენი, გარდეცემის შჳლის შჳლთა,
რომელნიცა მკობით ქებას შემოგწირვენ ღირსეულთა.

განვეთქმის მაშინ დიდება, ყოვლე ნათესავსა ზედა,
და გვირგვინსა დაუჭკნობელს დავადგამენ თავსა ზედა!....

ი. კერესელიძე.

---

## კელის ყფალითადმი

ოდეს მეჯემან თჳსს მაგიერად,
ანუ თუ დრომან გულს შენ ძლიერად!
მაშინ გმართებს შენ სლვა გონიერად,
ნუ თუ ვინ გპოვოს, გულ მანკიერად,
საქმეთა მყოფი ბოროტ ცბიერად,
და მომხვეჭ ოდენ ქვეყანიერად,
არამედ ეგე ღირს, მეცნიერად,
საქმეთა მსჯელი გულის ხმიერად,
კეთილთ მფარველი სწორ წადიერად,
პატიეთ წარმოთქმული გულ ლმობიერად.
სოფლის მომგონე წყით კამიერად,
ურცხვენელ სიტყვის მგე ზეციერად,
და ნაცვალთ მოსავი კეთილთ ციერად.

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

მაისს ჩუნე წელსა.
ქვაშიხორი.

---

## იმერეთის მეფის სოლომონის დედაზე, ქეთევან დედოფალზე ნათქვამი.

აჰა ამბად ადვამადლოთ, აწ ალვისა აღნაგობა,
ბეწვ-ბნელობა, ბროლ-ბადრობა, ბაგებისა ბადახშობა,
გულთ გარემო გიშრის გრუზვა, განგაშორა განგაცნობა,
დიდებითა დავლამ, დაზვრამ, დაგიმტკიცოს დღეთა დრობა.

ესუფთოდის ედემობას, ერხეოდა, ელატობდა,
ვაშად ვნახე, ვარდს ვამჭსგავსე. ვისგან ვისი ვალალობდა,
ზე ზილფებით ზანანობით, ზამბახთაგან ზარიფობდა,
ჱე კალმუხსა ჱედრებოდა, ჱეთერსავით ჱელვარობდა.

თეთრ-თითობით, თმა თხზულობით, თინათინი თამაშობდა,
იასამანს იზილფებდა, ირხეოდა იგ ირმობდა,
კინამოსა კაკ-კაწაწით, კეთილ კაზმით კამკამობდა,
ლალის ლამპრებ ლაპლაპითა, ლოყათაგან ლომილმობდა.

მუდამ მიუვარს მზემან მისმან მე მეტკბობის მანანობით,
ნამეანსა ნარგიზეჰსა, ნამგზედ ნახვა ნარნარობით,
ომაინობს ოდეს ორბობს, ოი ოობს ოლოლობით,

პაწაწაა პერანგითა, პირად პირობს პრწყინვალობით,

ჟღეროვანობს ჟივჟავია, ჟამობასა ჟამით ჟამობს,
რიდით რიდობს რივიანად, რონინითა რხევით რხეობს,
სირინ სუფთა სირინოზებრ, სუსტს სიწლოთი სარისარობს,
ტრფიალით ტანჯავს ტრედი ტურფა, ტატანივით ტანსა ტანობს.

უმანკოსა, უზადოსა, უცხოდ უქებ უღუმბობას,
ფაქიზობით ფანიკობას, ფერხის ფრინველთ ფარფარობას.
ქაღალდზედა ქარაგმებით, ქოხებთაგან ქარქროლობას,
ღიღინს ღუღუნს ღაბაბზედა, ღაწვებზედა ღაჟღაჟობას.

ყირმიზულად ყაყაჩობს, ყარყუმოვანობს ყელსა ყურად,
შუბლთა შუქთა შუშნებანი, შეცაშცვლიან შირინ შურად,
ჩინთა ჩემთა ჩაბნელება, ჩამტკობია ჩამი ჩურად,
ცნობიერობს ცხოვრებასა, ციმციმითა ცვარობს ცურად.

ძინადობით ძნელოვანობს, ძიებითა ძუძუს ძალად,
წარბის წარბის წამწამითა, წალკოდთაგან წმიდათ წყალად,
ჭიქებ ჭრელობს ჭეჭელაა, ჭენებითა ჭენობს ჭალად,

ხატველნი ხატვენ ხატურად, ხალისითვე ხატვენ ჰალად.

კმობს კორციოთა კელმწიფურად, კორხითა კმობს კელოვანობს,
ჯარში ჯიდობს ჯერანია, ჯავაირით ჯეროვანობს,
ჰაეროვნობს უცხოდ რასმე, ვახტანგ ვჰფიცავ მზესა გვანობს,
ჯი გულსა რად მიუძღვნი, სამარადოდ მისთჳს ვანობს.

თ. ვახტანგ [illegible]. ორბელიანი.(*)

---

## მაზედვე ნათქვამი

ალალებს ბაგეს, გულთ დასადაგებს, ელვარებს ვჰფიცავ ზე ეთერულად,
თვალთ ინდი გაზმავს, ლალს მინა ნახავს, ოდეს ბირით ჟღერს რიტორებულად,
სუმბულს ტევანსა უფენს უშვენასა, ქონდეს დაწვ ყელნი შემკულ ჩენილად,
ცრობენ მოწთ წყალნი, ჭვირობენ კალნი, კმობს ჯავაირთა ჰა ჯოცნებულად.

თ. ვახტანგ [illegible]. ორბელიანი.

---

(*) ეს ვახტანგ ყოფილა ვახუშტის შჳლი, რომლი-საცა არჩავს დაწვრილებით ვამცნებთ თავის დროს «ცისკრის» მკითხველთა. რ.

## მოქმედება 4.

(სცენა წარმოადგენს ბნელსა საპყრობილესა, რომელშიაცა ალაგზედ გდია გრივოლი თოკით შეკრული.)

### გამოსვლა 1.

გრივოლ. (მარტო.)

გრივოლი.

აი, ერთი ბოროტი მინუტი, როგორა ღუპავს ბოლომდინ კაცსა! — რა გამოვმგზავრდი დღეს დილით, და შეუდექი გზასა, ვიყავი მხიარულად და ჩემს თავს ვსახავდი ბედნიერად ყოველზედ; გული მიცემდა მეტის სიამოვნებისაგან, რომ ვფიქრობდი, დღეს ვნახავ დედა ჩემსა, დიდის ხნის უნახავს, როგორ უცებ გავახარებ და გასიამოვნებ მეთქი! სად დაიკარგა ეს ფიქრი და ეს იმედი? რა იქნენ ეს ჩემთვის სასიამოვნო აზრები? — მოვდივარ ჩემს ქვეყანაში; და მხვდების პირველადვე სამწუხარო საგანი, რა ვხედავ დედა ჩემს სიკვდილად მიხწეულსა; ჩემს სადგომად, მხვდების საპყრობილე. — მართალ მსაჯულო ღმერთო! მრავალთ მოწყალეო შემოქმედო! რა მიქმნია იმისთანა, რომ ასე უწყალოთ მსჯი? ან იქნება მსჯი შვილსა, როგორც შვილსა ბოროტ მოქმედის კაცისას? — მე ვიკარგები მიუწდომელს შენს განგებაში!

უნდა მოვითმინო და ყოველივე ესე შენის მადლობით მივითვალო. მოთმენა და საყვარული უსწავლებია ჩემთვის ჩემს მშობელს, რომელსაცა ჩემთვის მრავალი ტანჯვა გამოუვლია. — ღმერთო ჩემო!... (იყურება (მაღლა ჴელგაპყრობით.)

## გამოსვლა 2.

ფელაგია. (უკან მისდევს მოახლე თეფშით და ჩარექა ღვინოთი.) და გრიგოლ.

გრიგოლი.

(რა მიესმის კარის ხმა, უკან მიიხედავს.) ვინ არის? ეს ვინ შემოვიდა?

ფელაგია.

მშვიდობა შენთან, საწყალო მიდიაციონერო! მე მგონია მშიერი ხარ, და ფურის ჭამა გინდა! თუ რომ არ ითაკილებ, მოგიტანე სასმელ საჭმელი...

გრიგოლი.

აჰ! მე არ მინდა, არცა ხმა და არცა ჭამა. — მე მშიერი არა ვარ.

ფელაგია.

აი ერთი ჩარექი კარგი წითელი ღვინო.

გრიგოლი.

(უცებ.) ღვინო?

ფელაგია.

დიახ, ღვინო. (მხარეზედ.) რამდენჯერ გამიგია

მამიჩემისაგან კახური წითელი ღვინო ყუათს მიცემს კაცსა.

გრიგოლი.

გმადლობ მშვენიერო, მაგ მოწყალებისათჳს! ეს ჩემთჳს უმჯობესი საჩუქარია. ჩქარა, ღვთის გულისათჳს, ჩქარა კეთილის მოქმედო ქალო, ჩქარა გაუგზავნეთ ღვთის სიყვარულისათჳს ვისამეს ჴელით ეგ ღვინო და საჭმელი ახლოს აქ სოფელად სნეულს დედა ჩემსა, რომელიცა წევს ერთის გლეხ-კაცის სახლში და რომელიცა ძლივსღა სუნთქავს სიმშილით და ადუებს სულსა სიკვდილისათჳს. უბრძანე დალიოს ეს ღვინო თუ რომე ცოცხალი და ჯერ არ მომკვდარა. — ახ! რისთჳს არა ვარ იმის ახლოს და მე თჳთონ ჩემის ჴელით არ ვასმევ? (უკანვე აძლევს ღვინოს.) გაგზავნეთ თქუენი ჭირიმეთ ჩქარა, თუ ჩემთჳს სიკეთე გინდათ! მიუზრუნეთ საცოცხლე დედა ჩემს. იყავით იმისი მცველი ანგელოზათ!

პელაგია.

(გულმოტკივნეული) შესაძლებელი არ არის, რომ შენ იყო საწყალობელი, კაცის მკვლელი ან ბოროტ მომქმედი თუღა კაცი; შენ როგორც გატყობ მალიან კეთილი კაცი ხარ!

გრიგოლი.

მადლობა ღმერთსა. ბოლოს გამომაჩინდა იმისთანა სული, რომელიცა იჭერს ჩემს მხარეს და ვებრალები!

პელაგია.

მე თჳთონ წავალ დედა შენთან და მივუტან სასმელსაცა და საჭმელსაცა. ეს ღვინო და საჭმელი

შენთჳს იყოს აქა. (იქ უშვებს ყოველსავე რაც მოიტანა და თჳთან ილამის გასვლას.)

გრიგოლი.

მოწყალეო კელმწიფევ, მოიღეთ მოწყალება და ნუ გამირისხდებით კითხვისათჳს, ვინა ბრძანდებით თქჳენ?

პელაგია.

მე ვარ აქაურის სოფლის მეპატრონის ქალი. მამა ჩემი გვარად არის დიასამიძე.—

გრიგოლი.

(განცჳფრებით.) მართმსაჯულო ღმერთო!

პელაგია.

რა ამბავია შენ საწყალო?

გრიგოლი.

(ცახცახით.) იმისი ქალი ყოფილა, რომელმაცა შემაპყრობინა და რომელსაცა ვგონა ვითომც მე იმასა ვკლავდი....

პელაგია.

აბა ისა აი, რომლისაცა სიკვდილსა ლამოდი იყო მამა ჩემი.

გრიგოლი.

მამა ჩემი?

პელაგია,

რაებს ლაპარაკობს, მამა ჩემო, უთუოთ შემლილა საწყალი, გული მიკანკალებს შიშითა.... (გარბის.)

## გამოსვლა 5.

გრიგოლ. (ერთი.)

### გრიგოლი.

(იმეორებს თრთოლით სიტყუვასა.) მამა ჩემი!... მამა ჩემი!... ჩოლო მოუდებელო მართმსაჯულებაო! შენ უხილავად განაგებ ჩუენზედ. — დახე რა მესმის! ის კაცი რომელზედაც ამოვიღე ჴრმალი, ყოფილა მამა ჩემი! — ერთი მინუტიც რომ დამცალებოდა, უეჭველად შევიქმნებოდი მამაჩემის მკვლელი! — საშინელებაა! — სისხლი მიცივდება ძარღვებში... თმები მაღლა მეშლებიან... თვალში სინათლე მე-ლევის!... (თავს ჩაჭკიდებს და ცოტას ხანს ჩუმათ არის.) — განგებას რომ სდომოდა ჩემის ჴელით იმისი სიკვდილი! — ჩემს ჴელს რომ მოეკლა ისი! მართლმსაჯულო, უხილავო გამომძიებელო! განა შენ იქნებოდი მიზეზი უსჯულო მამის სიკვდილისა შვილისაგან, შეურაცყოფისათჳს დედისა? — ახ! მრა-ვალმოწყალეო! — (შედის ფიქრში.) — იმ ქალმა რო-მელიცა ახლა გავიდა ჩემგან; იმ უმშვენიერესმან კეთილმან და საყვარელმა არსებამ განაღვიძა ჩემს გულში ახალი სასიამოვნო რაღაც გრძნობა: ის ქალი ჩემი და არის! — ის უგუნური უმაწვილ-კაცი, რომელიცა ვნახე ტყეში მამაჩემთან, უთუოთ ჩემი ძმაა. — იცის რა რომ თავადის შვილია და დიდის ქონების პატრონი. აბნევს ოხრად ფულსა, იცვამს მდიდრულად და ვინ იცის რაებს შჩადის. — მე კი

იმის ძმა ვცხოვრებ ღარიბად, საწყლად და დედასაც ერთის ლუკმის ფასიც არა აქვს.

## გამოსვლა 4.

დიონისე და გრიგოლ.

დიონისე.

მშვიდობა შენთან ძმაო!

გრიგოლი.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეს საყვარელო!

დიონისე.

მსურს რა, რომ განვამხიარულო შენი გული და მოგცე ნუგეში, მე დაგიფარავ და გექმნები შემწედ; ამისთვს რომ სინიდისი ყოველს დასჯაზედ მეტობს.

გრიგოლი.

ეგ მართალი გახლავსთ, მაგრამ რას ბრძანებთ თქვენ იმ გვარ დამნაშავეზედ, რომელსაცა სინდისი არა თუ სჯის, არცა თუ მოქმედობს.

დიონისე.

მაგ თვსების კაცი სრულებით არა მგონია, და თუ იქნება უთუოთ დიდი ბოროტი და საძაგელი კაცი უნდა იყოს.

გრიგოლი.

არა, საყვარელო! მე სრულებით ფიქრათაც არ შეუშვებ, რომ შენ მაგას ჩემზედ ანბობდე. — მე იმისთანა გული მაქვს რომ არა მგონია სხვას

კიდევე ვისმეს ქონდეს. არა სიმდიდრეზედ, და არა სწავლაზედ არ გავცვლი მე ჩემს გულს.

დიონისე.

მაგას შენზედ კი არ ვანბობ, საზოგადოდ ვანბობ.

გრიგოლი.

მერწმუნეთ საყვარელო მამაო, რომელსაცა სრულებით არა გცნობ, რომ სრულებით ჩემს გულში ბოროტი არ მოიპოვება. მაგრამ ამ შემთხვევაში რომლისათვისაც დაჭერილი ვარ, სრულებით არა მოქმედობს სინიდისი ჩემზედ.

დიონისე.

მაგაზედ ტყვილად ნუ სწუხდები მეგობარო, თუკი შენ იცი რადგან ეს კი არ იცი, რომ ზოგჯერ სინიდის გადაჭარბებს თავის მოყვარეობა.

გრიგოლი.

არა საყვარელო ჩემო, რასაც თქუენ ამბობთ აგრე არ არის! აჰ, რა ვწუხვარ რომ არა მისწავლიარა და არა მაქუს ჴსწავლა, რომლითაცა შემძლებოდა ახლა წარმომეთქო ჩემი აზრები თავის კანონის წესით. მე ვიცი რომ მაქუს გრძნობა, მაგრამ ამ გრძნობის წარმოთქმა და დამტკიცება არ შემიძლიან. — მითხარით ღვთის გულისათვს, რა ცოდვა არის რომ უნდა წამერთვა რამე იმ თავადისათვს! აბა ერთი თქუენ ყოფილიყავით ჩემს ალაგს. — ერთი მიბრძანეთ, გყავსთ თუ არა დედა?

დიონისე.

არა. მე დავობლდი მაშინ, როდესაც რომ პატარა

ვიყავი.

გრიგოლი.

ვწუხვარ! რადგანც არა გყოლდაით დედა, საითგან შევიძლიანთ შეიტყუოთ მშობლიური სიყვარული. — მაშ ნება მომეცით მე გეტყვით რამდენიც შემიძლიან ყური მიგდეთ: რომელსაც რომ უყურებს კაცი თავის გარს, და ხედავს რომ ბუნებას თვისი ნაყოფიერობა ყოველგან ერთობ მოუფენია; საიდაც კი შეხედავს კაცი ყოველგან საკმაოდ სასმელი და საჭმელია — რომელსაც რომ ხედავს ისევე კაცი. რომ ესე ნაყოფიერება არის ახლოს თავის დედისა, რომელიცა ადუღებს სულს სიკვდილისათვს შიმშილით და უშრება ენა მწყურვილით, თხოულობს ახლოს მყოფთაგან შემწეობასა და ყოველნი ვინცა ვინ გაივლის იმის ახლოს, საზიზღრად შეხედვენ და არც კი მიაქცევენ ყურადღებასა. — საცოდავი მკვდრიც შეუყურებს მშობელს და ვისაცკი მოწყალებას სთხოვს სტუქსავენ და არ გაიკითხავენ რისთვს? ამისთვს რომ იმ უბედურისათვს ვისა სცალიან, ჭკუა და გონება ყურადღებაში აქვსთ გართული, მაშინ რასაკვირველია რომ კაცის გულში შევა რადაც რამ გრძნობა!

დიონოსე.

საყვარელო ძმაო, მე მგონია ეგ შენი ჰსწავლა უფრო მეტობს სიღარიბეზე. საწყალი ყოფილხარ და მიკვირს თუ მაგ წერილებით ეგ ქსწავლა სად მიგიღია.

გრიგოლი.

როგორცა მხედავთ მე, თუ ჩემს ჰსწავლასა, ყოვლადვე მომიღია ჩემის მშობლისაგან. — იმას განბობდი წლდან, რომ სინიდისი მე სრულებით არა მსჯავს. თქუენ გიხილავთ ჩემს დანაშაულსა და იმას კი აღარ ანბობთ თუ რა იყო მიზეზი დანაშაულობისა. თუ რიგიანად განსჯით, გარწმუნებთ რომ უეჭველად გამამართლებთ. — მე ესეც ვითხრა, რომ გაბედვით წარვსდგები წინაშე უმაღლესის განმსჯელისა, რომელსაცა მიუგებ ყოველსავე ჩემს დანაშაულსა.

დიონისე.

საყვარელო ჩემო, დიდს იმედ, რომ მქონდეს შენთან ახლო მეგობრობა. ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ შემემთხვა დრო შენთან ლაპარაკისა თუ რომ გაგვჭირვებია ცხოვრება, წამოდი ჩემთან დედი-შენით, მოგცემ კარგს ოთახს სადაცა ყოვლისფერი გექმნებათ და დადექით.

გრიგოლი.

(მოეხვევა.) დიდათ გმადლობ დედისემისათვის და არა ჩემთვის, რომელიცა მოველი დიდს დასჯას. იქნება დამარჩონ კიდეც.

დიონისე.

ნუ გეშინიან, შენ ახლა ხარ კეთილის კაცის ხელში, რომელსაცა მოსწონს ეგ შენი დედის სიყვარული, მიიღებს კიდეც მონაწილეობასა მაგ შენს საწყალს მდგომარეობაში, გაპატიებს ყოველსავე რაც რამ დღეს შეგემთხვა. — შენ ახლა თავისუფალი ხარ, ამისათვის ვარ მე აქ გამოგზავნილი,

რომ მამობრივ დარიგებით გაგიშო ამ საპყრობი-ლითგან.

გრიგოლი.

მიბრძანეთ კეთილის მოქმედო ჩემო, თუ რა გვა-რია ის სულგრძელი კაცი?

დიონისე.

თავადი დიასამიძე.

გრიგოლი.

დიასამიძე! — იმერეთში ხომ არ ყოფილა როდისმე?

დიონისე.

სწორეთ, მაგრამ რამდენსამე ხნის შემდგომს კი თავისის ცოლის სიკვდილის უკან, გარდმოსახლდა თავის სოფელში.

გრიგოლი.

მართლა ცოლი მოუკვდა? ვინ არის ის ქალი, რომელიცა ღირსია საყვარელისა და რომელიცა აქ იყო რამდენსამე მინუტის წინ. ქალი ხომ არ არის იმისი?

დიონისე.

სწორეთ იმის ქალია, რომელსაცა ჰქვიან პელაგია.

გრიგოლი.

ის ყმაწვილი-კაცი, რომელსაცა რუსულად აცვია? უთუოთ შვილი იქნება?

დიონისე.

იმას შვილი არა ჰყავს.

გრიგოლი

(თავისთავს.) მადლობა ღმერთსა! (მაღლა.) მაშ

ვინ არის ის?

ლიონოსე.

ის სტუმარი არის. ქალაქიდგან ამოსულა დროს გასატარებლათა.

გრიგოლი.

გმადლობ რომ უოველთვის შემატყობინებ; ეგ შეტყობა ჩემთვის დიდი საჭირო იყო. კიდევ გმადლობ თქუენის კაცთმოყვარეობისათვის; მაგრამ დიდათ ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან ვიქონიო თქუენთან მეგობრობა; თუ რომე მეც შენი დარი ვიქნებოდი, მაშინ კი შეიძლებოდა.

ლიონოსე.

განა მეგობრობა არა გავს სიყვარულსა, რომელიცა თანასწორეა ყოველთათვის.

გრიგოლი.

არა, ხელმწიფეო ჩემო! ეგ ღირსება მხოლოდ აქუს სიყუარულს, რომელიცა არაოდეს არ განარჩევს და დაურიდებლად მოქმედებს დიდზედ თუ მცირეზედ. ამას თავი დავანებოთ [illegible] მაქუს თქუენთან სიახლოვარი. გიხილავთ ბატონო ჩემო თუ რომე შეიძლებოდეს საკუთრად მოწყენით დახამეს, რომელთანაც შეუძლოს თავისუფლად ლაპარაკი.—მე მინდა მადლობა მოგახსენო. ჩემის განთავისუფლებისათვის; თუ რამ სხვა რაიმეც იქნება იქ, მაშინ შეიწყალებენ. [illegible] გამოვუცხადებ და ვეძიებ რისთვისაც მოგახსენებ.

ლიონოსე.

მაგ სურვილსაც აღვასრულებ. მომყევი! (ორნივე გავლენ.)

## გამოსვლა 5.

(ცენა უცებ შეიცვლება ისევ დიასამიძის ოთახად, სტოლს მიჯდომია დიასამიძე და სწევს ჩიბუხს. შერამიძეც მოშორებით ზის სკამზედ და პაპიროზსა სწევს, პელაგია კუთხეში ზის და რაღასაც ჰკერავს )

დიასამიძე.

(ქალს.) თუნდა ჯერ მოიცა, როდესაც სიცხე გამონელდება, მაშინ შეიძლება გაგზავნა.

პელაგია.

თუ რომ კაცს უნდა კეთილის ქმნა, მოსამსახურის ხელში რადა უნდა ჩააგდოს! — მეკი ასე მგონია და, კეთილის ქმნა ჩემთვის დიდი სიხარულია! სიხარულში რა გვედარდებოდეს!!

დიასამიძე.

შენ, არა დედაკაცობაზედ რას ლაპარაკობ? დედაკაცობა მიქარვაა, ყოველნი კაცნი ერთის კაცის შთამომავალნი ვართ. კიდევ გაგიმეორებ, რომ მეტი კაცი გამიგზავნია ერთი კელობა, და ამასაც მომატებანა, ახლა უკეთ არისო, სადამოზედ ერთად გავისეირნოთ და იქითკენაც შევიაროთ, ჩვენ თვითან ვნახოთ თუ როგორ არის.

პელაგია.

(კმაყოფილებით.) რადგანაც აგრეა, მაშ კარგი. (კერავს.)

დიასამიძე.

(შერამიძეს.) მე მგონია კნიაზო მიხეილ, რომ

ეს თქუენთჳსაც სასიამოვნო იყოს?

შეროშიძე.

თქუენს ქალთან გასეირნება, აბა რას ბრძანებთ ბატონო, სასიამოვნო როგორ არ იქნება! მაგრამ ვაჲ თუ იმ დედაკაცს შესაყარი რამ სჭირდეს! მგრამ არაფერია; ასეთი წამალი მაქჳს თქჳფნმა მჭემ, რომ მეტი ქენა აღარ უნდა. პარიჟითგან მოვატანინე! იმას რომ კაცმა უსუნოს, არა სენი არ მიუდგება.

ლიასამიძე.

კეთილს საქმეს წამალი არა ეჭირებარა, მე ასე მგონია. — შინ ჯდომა ყოველთჳს კაცს მობეზრდება, თუ ზოგჯერ არ გაისეირნა, გასეირნებასთან ჩვენ ჯდეს კეთილსაც ვიქმთ.

შეროშიძე.

კაცს როგორც მობეზრდება კნიაზო ცხოვრებას იქ, სადაც კნიაგინა დგას. (გადახედამს პელაგიას, რომელიცა თავს ჩაჰკიდებს.)

ლიასამიძე.

(თავისთჳს.) ზოგი ჩემს ქალს ჰკითხე. (მაღლა.) მითხარით ერთი თუ ღმერთი გრწამთ კნიაზო მიხეილ, რა ყოველთჳს ისვამთ თავზედ პომადასა?

შეროშიძე.

ამისთჳს ბატონო, რომ რომელიც ქალი ამის სუნს შეიტყობს, ვინ იქმნება რომ უყვარდეს არ მოგვცეს. მეც რა პომადა გახლავსთ, თუმცა უფ-რო კარგი კი შინ დამავიწყდა. სერთუკსაც რომ ხვდება ამის სუნი, ერთს თვეს არა მოშორდება, მინამ

ბიჭი არ გაამჴევებს და რადგან თქჳნ არ მოგ-წონთ ამის სუნი, წავალ მაშ თავს კარგათ წყლით დავიბან და ტანისამოს გავაბერტყინებ და გავაფენინებ.
(გავა.)

## გამოსვლა 6.

დიასამიძე და პელაგია.

დიასამიძე.

(უკან უყურებს შერაშიძეს და იმახის.) სწორეთ თქჳნმა მზემ აქლემია. კაი მოუყვა შენს თავს კარგი ჭკვიანი რამ შენ ჩუევხარ მამაშენს.

პელაგია.

მამა ჩემო, თუნდა გეწყინოთ სწორეთ მოგახსენებ, რომ მე მაგისი შემრთველი არა ვარ.

დიასამძე.

მე თჳთან არ შემიძლიან, რომ ეგ სულელი ვისიმო.

პელაგია.

თითქმის მეჯავრება კიდეც.

დიასამიძე.

მეც აგრე ვარ.

პელაგია.

მამაჯან! როგორ უნდა მოვექცე იმ კაცს, რომელიცა მძულს?

დიასამიძე.

როგორ თუ როგორ? არაფერი.

პელაგია.

საკვირველია რომ კაცმა ზოგჯერ თჳთანაც არ იცის, ვინ რისთჳს უყვარს და ვინ რისთჳს სძულს.

დიასამიძე.

ეგ მართალია.

პელაგია,

აი მაგალითად. რისთჳს მძულს შერაშიძე...

დიასამიძე.

სწორეთ ამბობ...

პელაგია.

და რისთჳს მიყვარს დიონისე?

დიასამიძე.

და.

(სიჩუმე)-

პელაგია.

ძალიან კი მინდოდა ქმრის შერთვა.

დიასამიძე.

(თავისთჳს.) დახეთ როგორ განათლდა საქართველო. აი რას მეუბნება ქალი. (ქალს.) რასაკვირველია უნდა გინდოდეს.

(სიჩუმე.)

პელაგია.

გეთაყვა მამა ჩემო ერთი მითხარი: ცოლს რატომ არა თხოულობს ჩვენი დიონისე?

დიასამიძე.

იმასა ჰკითხე მჯლო.

(სიჩუმე.)

პელაგია.

(თან ეშურება კერვას.) ძალიან კი მიყვარს.

დიასამიძე

ეგ ჩემთჳს დიდად სასიამოვნოა.

პელაგია.

იმასაც უყვარვარ.

დიასამიძე.

რასაკვირველია.

(სიჩუმე.)

პელაგია.

მე მგონია მამა ჩემო, რომ გაგვეგზავნათ მოცი-ქული ჩემკენ, უარს არ იტყოდა?

დიასამიძე.

ეგ მეც მგონია.

პელაგია.

როგორ გაგიგონებდით, რომ თქვენი ნება ყოფილიყო.

დიასამიძე.

(გაჯავრებით.) იქნება შენ რასაცა რომავ, სულ მართალს ამბობ?

პელაგია.

ტყუილად როგორ ვიტყვი.

დიასამიძე.

ხა! ხა! ხა! ვნახოთ, ვნახოთ!

პელაგია.

(შეჰყურებს მხიარულად.) მამა ჩემო, გეტყობათ, რომ თქვენცა გსურთ?

დიასამიძე.

არაოდეს.

პელაგია.

(მოწყენით.) არა!

დიასამიძე.

არა ჩემო პელაგია! შენ ჭკუა როგორადაც გიხ-ცრის და ის კი არ იცი რომ ჩუენთჳს დიდი სირ-ცხვილია ეგ საქმე. ან გულში რომ გედო, პირა-თაცარი როგორ ანიშნიდი.

პელაგია.

თქუენ იმისთჳს ბევრი სიკეთე გიქმნიათ.

დიასამიძე.

ეგ იმან თჳთან იცის.

პელაგია.

როგორ ბედნიერი იქმნებოდა თქუენი ქალი იმის ხელში.

დიასამიძე.

შენ მაგისთჳს ღირსი ხარ დასჯისა, მაგრამ რად-განაც ყმაწვილი ხარ და ყმაწვილური სურვილი გაქუს, ამისთჳს არას გეტყვი.

პელაგია.

მე ისეთი ყმაწვილი არა ვარ მამა ჩემო, რო-

გორსაც თქუენა ჰგონებთ.

დიასამიძე.

გამიგონე რევეგენო, შენ თავადის ქალი ხარ და თავადის შჳლმა უნდა შეგირთოს და არა იმისთანა უგვარჯულო გლეხმა, რომელიცა სწავლით სცხოვრობს და თუ ის სწავლაც არა ჰქონოდა, ნახშირი უნდა ეწვა.

ჰელოიგია.

მაშ არა?

დიასამიძე.

რომ არვინ ყოფილიყო ქუეყანაზედ შენი დარი კაცი. მაშინ კიდევ ჯ, ვიტყოდი რომ ასე მეთქი, მაგრამ ნათქვამია, აუტკივარი თავი კაცმა ტყვილათ რათ აიტკივოსო, შენ ჯერ ბევრი არავინ გინახავს. მოიცა ჯერ მოვიდეს ზამთარი და ჩავიდეთ ქალაქში, ასეთი უმაწვილ-კაცები ნახო ტეატრში, რომ არ იცოდე რომელი აირჩიო ქმარათა.

ჰელოიგია.

ვინც უნდა ავარჩიო იმისთანა არ იქნება. დიონისეს დიდი ხანია ვიცნობ, რაგუარიც აქუს და ან რა სული.

დიასამიძე.

აბა იმდენი არ იცი რომ შენი მასწავლებელია, შენი დამრიგებელი და თითქმის მეორე მამა, და შენ მაგას ფიქრობ. ატესილხარ მიყვარსო, რომ არცკი იცი სიყვარული.

ველოაზია.

თქუენ თჳთან დღეს არ შეუწყნებოლდით, რაც არის სიყვარული.

დიასამიძე.

მე?

ველოაზია.

რასაც კი მეუწყნებოლდით შეარაშიძეზე, მე სულ ისე მეგონა და იმასაც ვგრძნობდი, რომ დიონისეზე მელაპარაკებით მექო.

დიონისე.

საკვირველია!

ველოაზია.

მამა ჩემო! მამა ჩემო! მიყვარს და უყვარვარ კიდეც. ერთის სიტყვით ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

დიასამიძე.

განა იმასაც უყვარხარ? გაგიტყდა განა?

ველოაზია.

გამიტყდა და მითხრა, მეც მიყვარხარო.

დიონისე.

ეგ დიდი სირცხვილია იმისთჳს, მე იმისაგან მაგას არ მოველოდი.

ველოაზია.

ახ! მამა ჩემო, უნდა იცოდე, თუ იქიდამ რას მივხვდი.

დიონისე.

რას მიხვდი?

პელაგია.

როდესაც რომ მოვიდა საკუთრად თქუენის ბრძანებით, კითხოვდი მერამიძეს თუ არა. მე მაშინვე ვუთხარი შენ მინდიხარ მეთქი.

დიასამიძე.

ეშაკ პირდაპირ თქმას როგორღაც მიბედავ!.... მერე რა მოგიგო პასუხად?..

პელაგია.

ჯერ ბევრს მელაპარაკა, მეუბნებოდა: შენ დიდი კაცის ქალი ხარო და მე როგორ მაკადრებო. ბევრი მიხვეწა, მაგ აზრს ნუღარ იქონიებო, მაგრამ ჩემი გული როდი შერჩენოდა.

დიასამიძე.

მაშ ნიშნავს რომ ის მე ვერ გამიბედავს მაგას?

პელაგია.

მერეცა სთქუა, რომ მამკაცან მე მაგას იმას ვერ გაუბედავო.

დიასამიძე.

მე უფრო კარგი! მითომ არ ვიცი ეს ამბავი.

პელაგია.

მაგრამ მე დავარწმუნე და ვუთხარი: მე თვითონ ვეტყვი მეთქი.

დიასამიძე.

(გაჯავრებით.) მე უფრო ცუდი! რისთვის უთხარი ეგა?

პელაგია.

მამა ჩემო!

დიასამიძე.

შენ როგორღაც თავს გახვეული.

პელაგია.

მიუყურეთ მამა ცრემლები მომდის.

დიასამიძე.

(ზურგს შეაქცევს.) ნუ დამანახვებ მაგ ცრემლებს! (სიჩუმე.)

(პელაგია ადგება და ვითომც რაღასაც ეძებს.)

დიასამიძე.

რას ეძებ?

პელაგია.

ნემსი დავკარგე.

დიასამიძე.

(ადგება და ისიც ეძებს.) აგრე შორს როგორ გადავარდებოდა.

პელაგია.

(მივარდება და მამას ყელზედ მოეხვევა.) მამაჩემო, აკი გიყვარდი.

დიასამიძე.

რა ამბავია?

პელაგია.

გეთაყვა მამაჯან...

დიასამიძე.

თავი დამანებე ერთი მამაშენი ნუ წაგიწყდება, რა მაქარვაა ცრემლებით სულ ეს ლოცვა დამისველე.

პელაგია.

მე სხვა არაოდეს არ მინდა.

ლიასამიძე.

მიქარვაა! — სიყმაწვილეა! — გონს მოდი შენ ხულელო! (ლოყაზედ ცრემლს უწმენდს.) დაჯექ! მე და შენ მოვილაპარაკოთ; ეგ საქმე აგრე აჩქარებით არ იქნება. ცოლქმრობის შეკავშირება ერთს მინუტში მოხვდება ჰოლმე და გაწყვეტა მრთელს საუკუნეში. ზოგი ერთი ქალი, ბევრსა ტირის რომ არ აძლევენ თავის საყვარელს, მაგრამ როდესაც შეირთავს ორწილად უფრო ბევრს ტირის შერთვისათვის. — ამისთვის გეუბნები ამას შვილო, რომ მიყვარხარ და მინდა შენთვის კეთილი, რომელი მამა იქნება, რომ შვილისათვის ბოროტი უნდოდეს.

პელაგია.

(რა დაჯდება.) განა არა ვხედავ, რომ სამაგალითო მამა მყევხართ.

ლიასამიძე.

არა თუ? — ეგ კიდევ კარგია, რომ დედა არა გყავს. თორემ რომ გყოლოდა, ეგრე იაფათ არ დაგიჯდებოდა ეგრეთი პირდაპირ ლაპარაკი.

## გამოსვლა 7.

ადრინდელივენი და დიონოსე. (შემოვა.)

ლიასამიძე.

ჰა! მოხველი?

დიონისე.

თქუჱნის ბრძანებით განვათავისუფლე ის კაცი საპყრობილითგან, ის ახლა კარეთ ეზოში გახლავსთ და სურთ თუ რომ ნებას მასცემთ შემოვიდეს და პირის პირ მოგახსენოთ მადლობა.

დიასამიძე.

ეგ ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ნათქვამია, თუ რომ კაცმა მადლი ქმნასო, მარილშიც უნდა მოუყაროსო. ეს ხომ გამოუშვით და აქედანაც რიგი არ არის რომ ცარიელი გაუშვათ.

დიონისე.

ძალიან სურთ მარტო მოლაპარაკება თქუჱნთან და მადლობის მოხსენება.

დიასამიძე.

მარტო? რათა?

დიონისე.

იქნება გულში საიდუმლოება აქუს რამე, უნდა გაგიტყდეთ და მოგახსენოთ.

დიასამიძე.

კარგი! ძალიან კარგი! ვნახოთ რა უნდა. პელაგია შენ გადი სხვა ოთახში და დიონისეც გამოვა. (პელაგია გადის, დიონისე უღებს კარებს და გრიგოლ შემოჰყავს. რა აჩუჱნებს დიონისე დიასამიძეს, თვითონ მოშორდება.)

# გამოსვლა ზ.

დიასამიძე და გრიგოლ.

დიასამიძე.

(მიეგებება.) კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა ჩემო საყვარელო! ახლა შენ თავისუფალი ხარ, დღეს გავგზავნე კაცი დედა შენთან და მომიცია ანბავი უბედობისა, იმის გულისათვს ყოველსავე გაპატიებ, მაგრამ გაფრთხილდი, რომ შემდგომში მაგისთანა საქმე არ მოგივიდეს. რაზინოვნობა და აჴალგაცობა ცუდი ჴელობა არის.—აი ერთი მანეთი შენთვს მიჩუქებია, მაგრამ ამ პირობით რომ მო-მეზნით მატროსანი ქელობა; თუ რომ გავიგებ შენ კარგათ ქცევას, მოდი და კიდევ გაჩუქებ რასმეს.— ახლა წადი იქით, საითკენაც გსურს.

გრიგოლ.

(ართმევს მანეთსა.) ნება მიბოძეთ მოგახსენოთ თქვენო ბრწყინვალებავ, რომ სულგრძელი კაცი ბრძანებულხართ... ამასთანავე უკვე და არა მეწყინა მოწყალების და რჩევის მიცემაზე, მაგრამ მე გიხოვ ხნეა უყურო კეთილს საქმეზე. რომელიცა ყოველ-ზედ დიდია თქვენის მიცემულ ვერცხლზედაც და ოქროზედაც. მიიღეთ ჩემზედ მადლობის გულები და შემეწიეთ წინაშე უსამართლობის მამის ჩემისა.

დიასამიძე.

თუ რომ შემიძლიან რამ საყვარელო!... ვინ არის მამა შენი?

გრივოლი.

(მწუხარებით.) დიდი კაცია, აქვს ბევრი ყმა და მამული, ბევრს დიდ ხალხს იცნობს და ყოველგან მიღებულია, არის კეთილის მომქმედი, ბატიოსანი, გულწრფელი და სულგრძელი.

დიასამიძე.

(განკვირვებით.) მაგისთანა მამა გყოლია და შენ კი აგრე სიღარიბეში ხარ?

გრივოლი.

ასეთი მამა მყავს და მე კი საშინელს სიღარიბეში გახლავართ.

დიასამიძე.

(თავისთჳს.) მიხვდი. (მაღლა.) უთუოთ საყვარელო ჩემო, ვერა ჰგევხარ კარგი შჳლი, იქნება სხვების შაბამკით ლოთობ, ქაღალდს თამაშობ და ჰაყარნობ, ამისთჳს მამაშენმა გაგაგდო სახლითგან, მიქცა მილიციაში იმ აზრით ეგება ჭკუა ისწავლოსო. ჯარში შესვლა ასლი შენისთანა კაცების ხელობა არის... მანდ რომ არ მიეცე, იმ სიმდიდრეს დაუნთქვამდი და ამისთჳს ეგ მოგიხდინა. მე არ გამტყუნებ მამაშენსა, თუ რომ ეს ასეა.

გრივოლი.

არა, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორც თქვენ ფიქრობთ აგრე არ გახლავსთ. მამა ჩემი სრულებით არცკი მიცნობს მე, თუ ვინა ვარ, თავის დღეშიაც არ უნახივარ და დაუგდივარ დედის ჩემის მუცელში მინამ ვიშობებოდი და ქვეყნად მოვიდოდი.

დიასამიძე.

(განკვირვებით.) რაო?

გრიგოლი.

სამკვიდროდ მამის ჩემისაგან არა დამრჩომიარა, დედის ჩემის ცხარის ცრემლების მეტი, თავის დღეში ჩემთჳს მამა ჩემს არა უფიქრიარა, ჩემი ცხოვრებისათჳს, თუ როგორ ვიცხოვრო, ფიქრშიაც არ მოსვლია.

დიასამიძე.

ეგ ძალიან სამაგელობა არის. (ამღვრევით) ეგ... ეგ დიდი უღმრთობაა.

გრიგოლი.

ერთის სიტყვით უნდა მოგახსენოთ თქუენო ბრწყინვალებავ, რომ მე გახლავართ უკანონო შვილი. საწყალს ჵ საცოდავს დედა ჩემს, რომლისათჳსაც წაურთმევიათ უმანკოება, აღუზრდივარ დიდის მწუხარებით ჵ შეწროებით; თავისას ჴელსაქმით იმდენი მეცადინეობა გაუწევია, რომ გაუნათლებია ჩემი გული ჵ ჩემი გონება. მწუხარების ნაცვლად იქნება მე გამემხიარულებინა მამაჩემი, მაგრამ იმას არ უნდა ეს სიხარული ჵ სინიდისიც აძლევს ნებას, რომ არის ესრეთ გულგრილად თავისის შვილის უბედურებაზე.

დიასამიძე.

ღმერთი როგორ მისცემს მშვიდობას ჵ როგორ მოასვენებს სინიდისი? — თუ რომე მართლა სინიდისი იმაზედ არ მოქმედებს, მაშინ ის კაცი დაწყევლილია ღჳთის პირისაგან.

გრიგოლი.

რა მოვიზარდე და ვნახე რომ ძნელი იყო დედა ჩემისათჳს ჩემი შენახვა, სხვა ღონისძიება არა მქონდარა მილიციაში შესვლის მეტი, რადგანაც უკანონო შჳლი ვიყავი აბა კარგათ მოგეხსენებათ სად მიმიღებდნენ-

დიასამიძე.

ეგ ძალიან სამწუხაროა.

გრიგოლი.

ესრეთ განვლო ჩემა სიჭაბუკემ შრომაში, ნაკლუ-ლევანებაში და ბევრ აქა-იქ თრევაში, რამდენჯერ გავილახე იმისათჳს ვინცა მამიყვანა-მე ქვეყნად და რამდენჯერ ვიყავი მშიერი, ვინ იყო პატრონი.— მამა ჩემი აბა რას ინაღვლიდა ამაზედ, რომელსაც რომ აქუს კარგი სასმელი, კარგი საჭმელი, კარგი სახლი, კარი და სიმდიდრე; სინიდისი იმაში სრუ-ლებით არ მოიპოვება, რადგანაც არარას გრძნობს.

დიასამიძე.

(თავისთჳს.) ეს კაცი საკვირველად გულს მიტკივებს.

გრიგოლი.

რა მოვშორდი დედა ჩემს და ხუთის წლის უკან დავბრუნდი ისევ უკან დედის ჩემის ნახვისათჳს და მხიარულის განზრახვით ვნახე მშობელი საშინელს სიღარიბეში; სამის დღის უჭმელი, თავის ქვეშ არცა თუ ერთი მუჭა ბალახი ეგო ბალიშის მაგიერ, სადგომში ხომ სად ჰქონდა, რომ დაეცვა ტანი სი-ცივისა და წვიმისაგან; გულმოწყალე კეთილმოყვარე კაცი ხომ სად მოიპოვებოდა, რომ ვინიცობა მომ-

მკვდარ იყო თვალები დაეხუჭა და გულს ჴელები და-კრიფნა, ალაგიც. არა ჰქონდა საწყალს (ტირის.) რომ თავისუფლად მომკვდარიყო. — რათ იფიქრებდა მამა ჩემი, იმ საწყალს დედა ჩემზედ, მაშინ როდესაც რომ, სასახლე კარგი უდგას, ბაღიშენი და ქვეშაგები ლბილი აქუს და რა მოჰკლებია, სიმდიდრე იმისთანას გულ ლმობიერს სიტყვებს დააწერს სა-ფლავზედ კეთილმოქმედობისას, რომ ის სიტყვები გარდეცემიან ნათესავით ნათესავამდე.

დიასამიძე.

მითხარი საყვარელო! რა ჰქვიან მამაშენს? (შემ-ფოთებით.)

გრიგოლი.

იმას კი აღარ ფიქრობს ის კეთილი კაცი რომ სისუსტე უმანკოს ქალისა მოიხმარა ბოროტათ, დაარწმუნებდა რა ცრუს ფიცით, რომ მოიყვანა ქვეყანად უბედური არსება, რომელიც ყოველ დღე სწყევლის მამასა; რომ თავისი შვილი მიახწია იქა-მდინ, რომ კინაღამ მოკლა თავისი შემქმნელი მამა. მერე კაცმა იკითხოს, რისთვის? აი (გადუგდებს ფულსა.) ამ ერთის მანეთისათვის.

დიასამიძე.

(მოთმინებითგან გასული.) მითხარი ჩქარა, თუ რა ჰქვიან მამაშენს და რა გვარია?

გრიგოლი.

დიასამიძე.

(დიასამიძე შემოჰკრავს ჴელი ჴელს, დაიკრეფს გულზედ ჴელს, ჩაჰკიდებს თავს და დადგება გაქვა-

ვეპულა.)

გრიგოლი.

(შევის შეცვად ამღვრეული.) ამ სახლში... იქნება კიდეც თვითან აი ამ ოთახში შეაცთინე დედა ჩემი და მომეცი მე სიცოცხლე მხოლოდ ამისთვის, რომ შენგნითვე ვიყო მიცემული სასიკვდილოდ და დასასჯელად! —ახლა ხელმწიფეო ჩემო! მე თვითან არ მინდა რომ თავისუფალი ვიყო.—არ მინდა.—მე რაზბონიკი ვარ, თული ვარ, სახალხოთ გავიმცუენებ თავსა. თქუენ თვითან უნდა მიმცეთ სამსჯავროსა, რომელმაცა უნდა ჩამომართოს, როგორც კაცის მკვლელი და თული კაცი; თქუენ თვითან უნდა ნახოთ, როგორ დამარჩობენ. თქუენ თვითან უნდა გაიგონოთ როდესაც ამიყვანენ ძელზედ ჩამოსაკიდებლად, თუ როგორ გულმხურვალედ დავსწყევლი მამა ჩემს! თქუენ თვითან უნდა იდგეთ მაშინ იქ და ხედავდეთ რისთვისაც ქანაობს თოკზედ დამრჩვალი თქვენი შვილი.

დიასამიძე.

საკმაოა!... ნუღარ მტანჯავ!... მაკმარე!...

გრიგოლი.

თქუენ თვითან უნდა ნახოთ, როდესაც ჩამომ-ხსნიან ძელითგან, თუ როგორ ტირის და მოსთქვამს მშობელი ჩემი. თუ როგორ ცხარე ცრემლს ანთხევს დედა ჩემი.

დიასამიძე.

მაკმარე!... კაცთმეუბრალებელო!...

დიონოსე.

(შემორბის.) რა ამბავია.—აქ რა მოხდარა?

(მიუბრუნდება დიასამიძეს.( ამ წყეულმა ხომ არა გაწყინარა?

გრიგოლი.

მე აღვასრულე თანამდებობა მოძღვრისა და ავათრთოლე ცოდვილი კაცი, (ჴელს იშვერს დიასამიძეზედ.) უყურეთ ჴელ?წიფევო, თუ როგორ სასტიკათ ჰსჯის ნდომა, რომელიცა მომხვდარა ოცის წლის წინათ. — მე კაცის მკვლელი ვარ! — რაზბონიკი ვარ!.. მაგრამ რასაც ახლა ამ სათში ვგრძნობ, ვერ აღიწერება ენით, მე წედანაც ვანზობდი, რომ არ მინდა თავისუფლობა; მე თჳთან ჩემის ფერხით ჩავალ ქალაქში, შევალ საცა ადაგია და გამოუცხადებ ჩემს დანაშაულსა. (გავა.)

## გამოსვლა 9.

დიასამიძე და დიონოსე.

დიონოსე.

ღვთის გულისათჳს ერთი ჩქარა მითხარით, თუ ეს რა ამბავია? მე სრულებით არ მესმის.

დიასამიძე.

(შეშფოთებით.) როგორ არ გესმის!... ის კაცი ჩემი შვილია!... ჩემი შვილია!... ღვთის გულისათჳს მიდი!... მიდი და დაამშვიდე!... მიდი იმ სნეულ დედა კაცთანაც, რომელიცა გლეხ-კაცის ქოხში წევს და მდებარეა. გაგზავნე ბიჭები, თუ შენ არ წახვალ!.. ჩქარა!.. ჩქარა ღვთის გულისათჳს!...

დიონოსე.

რომ წავიდე, რა გამოვა? არა, რა უნდა გავაკეთო მე იქ?

დიასამიძე.

ღმერთო ჩემო! — თვითონ შენი გული გეტყვის რაც უნდა გააკეთო. (დიონოსე წავა. დიასამიძე ორის ხელით იჭერს თავის თმებს.) ხომ არ გად-ვირივე? ჭკუითგან ხომ არ შევიშალე? იქნება სიზმარში ვარ? მე შვილი მყავს! შვილი მყავს!... მერე რა შვილი!... კეთილი ღ ღირს. მატიოსნებისა, ასეთი შვილი ჰყავს მამასა, ჯერ არ მოხვევია შვილსა სიყვარულით! — ეი! ბიჭო! ვინა ხართ მანდა? (ბიჭი შემოდის.) რა იქნა?

ბიჭი.

ვინა? — თული კაცი? — რაზბონიკი?

დიასამიძე

როგორ თუ თული!.. ის ყმაწვილკაცი რომელიც აქედან გავიდა ახლა?

ბიჭი.

ის კაცი ქალაქში მირბის, მთავრობას უნდა ვაცნობოთ. ჩვენ ნაცვალს შევატყობინეთ, რომ მაგრათ დაიჭირონ, ვაი თუ კაცი მოჰკლას ვინმე გზაზედ.

დიასამიძე

რას ამბობ, როგორ თუ დაიჭირონ, ვინც ამისა დამჭერი მოვიდეს კელი ჰკარი ღ გააგდე! არავინ გაბედოს დღეის ამას იქით იმ ყმაწვილის

წყენა!... გესმის?...

ნიკო.

(განკვირვებით.) მესმის თქუენი ჭირიმე (უნდა გავიდეს.)

დიასამიძე.

ნიკო?

ნიკო.

რას მიბრძანებთ თქუენი ჭირიმე.

დიასამიძე.

შეიყვანეთ ის ყმაწვილი კარგს სამყოფო ოთახში და თქვენც ახლდით მოსამსახურებად.

ნიკო.

ერთი ოთახი გახლავსთ თქუენი ჭირიმე წმინდა, იმაშიაც შერაშიძე დგას, აბა სხვა სად დავაყენო?

დიასამიძე.

შერაშიძეა ვიღაც მგდრევი სადაც უნდა იქ დაიკარგოს, რა მაგისი მცხელა! (ნიკო განცვიფრებით უყურებს ბატონს დიასამიძეს გაივლგამოივლის.) საჭირო არ არის ჩემთვის ხიმე... მე შვილი მყავს... შვილი, რომელიცა ჩემს გვარს გადასცემს შვილის შვილს და არ ამოწყდება ჩემი გვარი და იქნება ჩემი მემკვიდრე; მე მყავს შვილი, რომლის ველიჩვე თავისუფლად მოვკვდები! სწორეთ, ნამდვილად ჩემი შვილია. რისა მრცხვენიან! დაუხსენი ხალხმა როგორც უნდა გამკიცხოს. — ეი! ნიკო!

ნიკო.

რას მიბრძანებთ?

დიასამიძე.

წადი ის ყმაწვილი აქ შემოიყვანე, სთხოვე მოწიწებით, რომ შემობრძანდითქო. ვინცა ვინ არიან გარეთ ყველანი შემოიყვა.— (ბიჭი გადის.) სისხლი ამიდუღდა ძარღვებში!... თავით ფეხამდინ სულ ჟრიალი მამდის!— ეს მგონია სიხარულია!— ის მოულოდნელი სიხარულია, რომლისაცა ღირსი არა ვარ! (გრიგოლ შემოდის და რამდენიმე კაცნი მოსდევენ, მოურავი სტვირით, დიონოსე, ბიჭი და სხვანი, დიასამიძე კარებში ეგებება.) აგერ მოდის! მოდი!— აქ მოდი საყვარელო შვლო! ორივ თვალის სინათლევ შვლო! მოდი მომეხვიე!— მომეხვიე შენს მშობელს მამას!— (მიიკრავს გულზედ გრძნობით და ყოველნი განცვიფრებით და მორიდებით უყურებენ.) შვლო!— შვლო!....

(ფარდა დაეშვება.)

დასასრული მეოთხის მოქმედებისა.

## ქვრივის ლიმონების განხილვა

## ანუ კრიტიკა.

---

უ. გრიგოლ რჩეულოვისაგან დაწერილი ქვრივის ლიმონებზე შეიჭყრნენ მრავალნი, ისე ფიცხად დაპარაკობდნენ იმაზედ, რომ მეგონა განხილვას დაუწერდა ვინმე, მარამ აქამომდე ამაზედ არა გამოიცარა ცისკარში, ამისთჳს ისეც მე დაუწერე, რაოდენი რაჲცა ვიცი და განვიხილამ.

პირველი დაწყება სამი ტრიქონი, უ. რჩეულოვისაგან სახელ განთქმულს მეფეს ირაკლიზედ, მართლად კარგი და ღირსად წარწერილია, შემდეგ დაიწყებს: 1786-სა წელსა. მაისის 1-სა ქ. ტფილისს კნეინა ჭეჭე (უწინდელს დროს საქართველოში, წოდებით კნეინობა არ იყო, არც კნიაზობა.) ქვრივი ოცდა ორის წლისა, იჯდა თავის სახლში ფანჯარასთან დაფიქრებული და თვალ გაშტერებით ადევნებდა ხალხსა, რომელიც ჟიჟინით დადიოდა ტფილისის ქუჩაში. ამ დროს შეწუხდება, ეკლესიაში

წირვის გამოსვლაზე, ამასთან კიდევ ივიშვიშებდაო, თუმოსამსახურე არ შემოსულიყო და არ მოეხსენებინა, მეფე მობრძანდებაო.

უადვილო თქმულს, უზრალო თავის მომზადებას ქაქესაგან, მე აღარ განვიმეორებ რჩეულოვის სიტყვას, მხოლოდ კარზედ გაეგებება ქაქე მეფეს, ჴელს ჩამოართმევს მეფე, შუბლზედ აკოცებს, მოიყვანს, ტახტზედ დასვამს, და თვითონაც გვერდს მოუჯდება ქაქეს, ამასთან იმის დასატუქსად მოსულა მეფე, იმისთანა «გარყვნილს მჴლობილთან» უმაწვილი ქალი, მეტადრე შენსავით ლამაზი, დაჯდება შინ პირველს მაისსა და წირვას არ მოისმენს? --- მე სამოცდა თექვსმეტის წლის კაცი ვარო, ვითომც ეტრფის მაისის ბუნებას და ამისგამო გადახალისებული ჰგონია მოხუცებულობა ჭაბუკად.

ჯერ ეს უნდა ვსთქვათ რომ უწინდელს დროში არას დროს ალერსში არავინ არ იტყოდა სიტყვას, «გარყვნილოვო,» არამც თუ მეფეები. მასუკან არ ვიცი პირველი მაისი რა ყოფილა, ან რა დღესასწაული უწინდელს დროში? — მერმე ქვრივი ქაქე ბოდიშს მოიხდის, ბატონის შვილს ანასტასიას დასდებს მიზეზათ, თავის წირვაზე წასვლელობას და ლაპარაკში ხმარობს. «თქვენო დიდებულებავ.» არც ამ სიტყვას მოახსენებდნენ უწინდელი ქართველები მეფეს, იყო «ჩვენო ბატონო, შენი ჭირიმე ბატონო და ბატონო მეფევ!

ამაში მეფე ირაკლი და ქვრივი ქაქე, ვითომც სიამოვნით დაიწყებენ საუბარს, მეფეს დიდსულოვნად

მაჰნია კაკეს ეკლესიაში წაუსვლელობა, რადგანც იმის სიმშვენიერება სხვა გარეთხოვარს ქალებს გულს დასწყვავდა და ამას მოარიდებია. მეფეს ჰგონია, თავის ეხვა ქალიც, ვერ მოვა კაკესთან. გარდა ამისა, უწინდელს დროში, ეკლესიებში უმაწვილკაცებისაგან კისრის გრეხა და ქალების ყურება როგორ შეიძლებოდა!—თავისდღეში საკიცხავად დასდებდენ.

როგორც მეფე და ქვრივი კაკე, ვითომც სიამოვნით ლაპარაკობენ. არა დარბაისელთან არ იქნებოდა ამ გვარი ლაპარაკი, რაც უნდა ახლო ნათესავი ყოფილ იყო, არამც თუ მეფესთან.

მგონია ჩვენი თქმული კარგათ გახსოვდეთ უ. რჩეულოვისაგან, 1786 წელსა, მაისის 1-სა ქ. ტფილის. ქვრივი კაკე, ოცდა ორის წლისა იყოდა, სადაცა ამ დროს მეფე იტყვის ქვრივს კაკეს, მე 76-სა წლის კაცი და სხვანი?...

უ. რჩეულოვის ორივ სიტყვა ეს წინა აღმდეგის ერთმანეთისა, მაგალითად ვსთქვათ: ვითომც უ. რჩეულოვი ამბობს ამას.

—«1786-სა წელსა იყო ეს ლიმონების ამბავი.»

ამის პასუხს ჩვენ მივუგებთ:

—ამ წელიწადს მეფე ირაკლი იყო, 66-სა წლისა, ანასტასია ბატონიშვილი თორმეტის წლისა, და ამ პატარა ქალს, რა მახლობლობა ანუ მეგობრობა უნდა ჰქონიყო ოცდა ორის წლის ქვრივს ქალთან.

ამის შემდეგ, თუ ახლა ასე იტყვის.

—«შემცდა, მეფე ირაკლი 76-სა წლისა იყოვო.»

ამის პასუხს ახლა ასე მიუგებთ.

— მეფე ირაკლი. 76-სა წლისა, რომ იყო, ერთის წლის წინათ აღამამაღხანმა, ქ. ტფილისი მოსწვა, მოაოხრა და ნაწილი საქართველო; ამის მეორე წელიწადს, ესე იგი 76-სა წლისა რომ იყო მეფე, კიდევ მეორეთ მოელოდნენ საქართველოზედ აღამამაღხანს, სადაც ამ დროს, სულერთიანათ მეფის სახლობა თელავში ყოფილან, და ამის შემდეგ კიდევ ექნებოდა გული მეფე ირაკლის, ქრივის ჭემე-სთან საუბრისა, თუნდა ზღილობაშიაც შემოსულიყო უწინდელს დროში! კიდევ უ. რჩეულოვი, რომ სწერს მოხუცებულს მეფეზედ, უგონოდ უწოდებს, ის ამისთანა უგონო მოხუცებული იყო. რომ 77-სა წლის მოხუცებულმა, განჯის ციხე აიღო, რომელზედაც ორი ბატონის შვილი ოთხი თვე ადგნენ დიდის ჯარებით; მინამ მეფე ირაკლი არ მიეწვიეს ბატონი-შვილებმა და არ ჩავიდა, ვერ აიღეს და რომელსაც ჩავიდა, ქართველთ ჯარსა ფრთები შაე-სხათ. — «ჩვენი ბატონი ირაკლი მოგვივიდა, ახლა იმის საკვირველს გონებას რა გაუმაგრდებათ.» მართლა ისეც მოხდა და გაკვირვა ყველანი!...

მოწყალეო ჴელმწიფეო გრიგოლ რჩეულოვ! ამის შემდეგ, კიდევ იტყვით საგიებელს სიტყვას მეფეს ირაკლიზედ? — მხოლოდ ახლა ნება მომეცით დაგიმტკიცოთ, რომ არცა ის ივანე აბაშიძე ყოფილა, რომელსაცა მეფის ირაკლისათვს შეუწირავს თავი ისმაილოს ომში და არცა ქვრივი ჭეკე ოცდა ორის წლისა.

1, მეფის ირაკლის დროს იყო სამი ივანე აბა-

შიძე: ერთი ადა-მამადხანის ომში მოკლეს ქ. ტფი-ლისის აღების დროს, ამას ოთარ ამილახვრის და ანა ჰყვანდა ცოლად, ამასთან ორი შვილი დარჩა, ერთი ვაჟი და მეორე ქალი ეკატერინე. პირველიდ-განვე, ეს ეკატერინა ჰყვანდა, გიორგი ბაგრატიონის მუხრანცკის, რომელთაცა განდაცვალება იქნება, თხუ-თმეტიდგან ოცდა ხუთის წლამდის. (ცოტა მეტ ნა-კლები იყოს, მაგთენი შეცთომილება არა იქნებარა) გიორგის (ანუ გოგიას) მუხრანსკის და ამის ცოლს ეკატერინეს, ორთავე კარგათ ვიცნობდი. ეკატერინე მეფის ირაკლის უკანასკნელს დროში დიახ პატარა ყოფილა, ისე რომ თუნდა ენახოს, ხსომა არ ექნებოდა.

მეორე ივანე აბაშიძე იყო ანუ ყოფილა, რომე-ლსაცა თავის დღეში ცოლი არა ჰყოლია, ისე უცოლ-შვილოთ მომკვდარა.

და მესამე ივანე აბაშიძე, მეფის ირაკლის ახლო ნათესავი. კახელი, ადამამადხანის მოსვლის შემდეგ, თავის დღით მომკვდარა: ამის ქალების სახელი სულ ვიცი, რომელთაცა არცერთს არა რქმევია ბეპე, ამის შემდეგ, არ ვიცი რა ნდომია და ან რა გაუ-კეთებია უ რჩეულოვს?—ისტორიისათჳს?—უკარგია. რომანი?—რომანის აჩრდილი არ არის.—მოთხრობა? არც მოთხრობად ითქმის.

ეს აქ დაუტევოთ და კიდევ ქვრივს ბეპესვე დაუ-ბრუნდეთ: ქვრივს ბეპეს ვითომც ლიმონები ფანჯა-რაში უწყვია, მეფე ირაკლი იმ ლიმონებისას ჰკი-თხავს? ბეპე მოახსენებს: თქვენი ბაღიდგან მამცა ანასტა-

სია ბატონიშვილისაო. ამაზედ მეფე ეჭვში შევა და გამო-ჰკითხავს? — გაუტყდება, ეს ლიმონები ჩემი საკითხავი არის, ავაგდებ და ჩემს საქმროსას ვკითხავ რომელი შემირთავდეს, ის ლიმონი დავიჭირო ხელშიო. ზაზა თარხნის შვილი თუ ქაიხოსრო ენდრონიკა შვილიო? მარამ ორ ლიმონებსვე ხელში ვიჭერო. ქეკეს სიტყვით, ორივ საუცხოვო ყმაწვილ კაცები არიან, რომელნიცა ზაზა თარხნის შვილი და ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, ორივ უფროსები იყვნენ მეფის ირაკლიზედ ხანით და დაცოლშვილიანებულიც ორივ: ესე იგი 1786-სა წელსა.

გაიგონეთ ახლა რას ვამბობთ? — ჟ. რჩეულოვის სიტყვით, ვითომც მეფე ირაკლი შუა კაცად გაუკე-თდება ქმრივს ქეკეს, იმ ყმაწვილ-კაცებთან, რად-განც იმისი მამა, ივანე აბაშიძე ოსმალოს ომში გარდაეფარა მეფეს; თვითონ ერთს ოსმალოს შეაკ-ლა თავი, ამით მეფე გამოიხსნა სიკვდილისაგან, მეფე ირაკლიმაც ამის სამაგიეროდ უნდა შესმდვნას ჭკვიანი და გარჩევანის შემდეგ მოურიდ კარგი ქმარი შევრთოს. ამაობაში მეფე ირაკლი დაიმალება მეო-რის სახლში, ამასთანავე ზაზა თარხნის შვილს დაი-ბარებს ქეკე, რომელთანაც დაპარაკობს ცოლ-ქმ-რობაზე და ზაზაც არწმუნებს დიდს სიყვარულს, სადაც დამალულს მეფეს ესმის ყველა.

ამათ დაპარაკს შემდეგ, ზაზა წავა, მას უკან ქაიხოსროს დაიბარებს ქეკე ვისთანაც, ეგრეთვე დაპარაკი აქვს და დასასრულზე ესეც გავა, მაგრამ ბოლოს ეს ქაიხოსრო შეირთავს ქეკეს.

რა არის უფალი რჩეულოვის თხზულება ესე?-არც უწინდელს ჩუენს ზნეობაში შემოვა ესენი, არც ჩვეულობაში, არც გცევაში, არც მართებულობაში, არც ხასიათში, არც ზდილობაში და სრულიად არაფერში.

ბოლოს ამბობს, უ. რჩეულოვი მეფეს ირაკლიზე ვითომც ერთს გლეხს ეთქოს მეფის ირაკლისათჳს. «ქართლის მამინაცვალოვო და კახეთის მამაო.» მართალია თქმულია, მაგრამ რომელი გლეხი კაცი გაუბედავდა ამ სიტყვას? — თქმულია წინა აღმდეგისა და მტრებისაგან. უ რჩეულოვო, იცით რა ღვაწლი დაუდვია ქართლისათჳს მეფეს ირაკლის და ან რა საშინელი ომები გადუხდია საშინელს მტრებთან, ქართლის გამოსახსნელად?.... მგონია ამისი არა იცოდეთრა თქუენ? ამასთანავე ამბობს უ. რჩეულოვი მეფეს ირაკლიზე, რომ ვითომც ვერას ღონისძიებით, კარგი ქცევა ვერა ესწავლებინოსრა კახელებსათჳს და ამაზედ შეწუხებული იყოს მეფე. ესეც კახელების საწინააღმდეგოდ არის თქმული.

ამ ორს ქვეყნის გვარსა, ქართლისას და კახელებისას; ამ ახლო მეზობელთ, ურთიერთთან ჰქონდათ, ვინიცის რავდენი საუკუნოები განუყრელი ერთობა, ნათესაობა, ერთი-ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა ხშირი; ნამეტნავად მეფის ირაკლის მეორის დროს ხომ სულ ერთად იყვნენ ესენი, სადაც თავთავისად იზდებოდნენ და სწავლობდნენ; ერთს საღმთო სჯულს წერილებს, ერთს ზნეობას, ერთს ზდილობას, ერთს ჩუეულებას, ერთს ხასიათს, და სრულებით ერთ გვარათაც ცხოვრებდნენ,

რომ განსხვავება არა იყორა იმათში, ამის შემდეგ, თუ ჩვენ ქართველები ვიქნებოდით კარგნი; კახელები რატომ აღარ უნდა ყოფილიყვნენ კარგნი? შეცთომილება.— არ არის კარგი, ქართველები კახელებზე ვლაპარაკობთ ანუ ხან დავცინით და კახელები ქართველებზე ლაპარაკობენ ანუ ხან დაგვცინიან, მაშინ როდესაც რომ ზურგზე ვაკერივართ ერთმანეთს, დასაკლისიც ერთია ჩვენი და შემატებაც.

კიდევ კარგი ძველი ამბავი ვიცით, თორემ ამ ოცდა ათის წელიწადის ანუ უფრო მეტის შემდგომ, ამ გვარი რომ დაწეროს ვინმე მეფეს ირაკლიზე ანუ ერთი ერთმანეთზე უ. რჩეულოვის გვარად, არ ვიცი ვიღა განიხილავს?— დაიჯერეთ, თუ გამხილველი არ ეყოლება, მაშინ შესაბრალისია მეფე ირაკლი და ერთობ ჩვენი ერიც, ამისთვის რომ იქნება ის მოგონებულები, ისტორიამ მიიღოს და საუკუნოდ მოითხაროს, საკვირველი სახელი მეფის ირაკლის მეორისა და სრულიად ჩუენის ერისაც.

იმ რჩეულოვის თხზულებაში, თუ არის რამე კარგი, მხოლოდ უცხო სიტყვიერება და ყურის სმენისათვის კარგი გასაგონი, თუმცა ცოტა მეტნაკლებია იქაც, მაგრამ ამითი არა ფერია, თავის დროზე გასწორდება ყოველი ჩვენი ნაკლულევანება. სხვა კი მოგვიტევოს უ. რჩეულოვმა, ამის თხზულებას, კარგს ღირსებას ვერას დავდებთ.

ის რჩეულოვის თხზულება ასეთი რამ არის, რომ თუ დაწვრილებაში შევიდა ვინმე და ნამდვილად განიხილა, ერთი კარგი დიდი წიგნი მოვა ის განხილვა...

არ დაიჯერებთ, რამდენჯერმე გარდავიკითხე და ყო-ველს ათჯერ გარდაკითხვაზე ვიტყოდი ხოლმე, ნეტავი მითხრა, რა უნდა იყოს უ. რჩეულოვის თხზულება ესე? — ამას მეტი ვერა მოვიფიქრე: ერთმა კაცმა, რომელიმე დიდი შენობა დაწვა და მიზეზი ჰკითხეს დაწვისა — მიუგო, ჩემი სახელი დარჩესო. იქნება უ. რჩეულოვს ჰგონია, იმისი სახელი დარჩეს, იმ თავის თხზულებით!

ამ თქმაზე არ უნდა გაწყრეს უ. რჩეულოვი, თუ ის მეფეს ირაკლის, იმ საკვირველს კაცს ისე დამდაბლებით ახსენებს და საგიებელს სიტყვას იტ-ყვის იმაზე, მგონია მე უფრო არ დავიძრახო სწორეთ თქმაზე უ. გრიგოლ რჩეულოვის მიმართ.

თ. ალ. ვახტანგის ძე ჯრ. ორბელიანი.

## სარჩევი პირველის ტომისა.

ლექსები.


| | | |
|---|---|---|
| გამოსალმება. | გ. ორბელიანისა. | 1 |
| ბულბული. | ი. კერესელიძისა. | 2 |
| თხისა და მგელისათჳს. | თ. ალ. ჭავჭავაძისა. | 4 |
| ანბანთქება. | თ. დიმ. ბაგრატოვანისა. | 5 |
| ლომი შემადგენელი სა-მსჯავროჲსა. | დიმ. მგალობელოვისა. | 7 |
| მდურვა კავკასის მთისა. | კ. ეგ. ენდრონიკოვისა. | 8 |
| ვარდი და ბულბული. | ი. კერესელიძისა. | 11 |
| მეჯლისი. | თ. დავ. ციციშვილისა. | 12 |
| სოფლის სამდურავი. | მისივე. | 24 |
| ლაშქრობა ქართველთა კავკასზე. | თ. ნ. ბარათოვისა. | 113 |
| ზვავი. | თ. ალ. ჭავჭავაძისა. | 115 |
| გალობა სიტურფისა. | თ. ნ. ბარათოვისა. | 117 |
| ჩვილი, | მისივე. | 117 |
| მგელს სატრფოს. | თ. გ. ერისთავისა. | 118 |
| ღამე ტფილისში. | რაზმაძისა. | 119 |
| ზამთრის შემოღამება. | თ. | 120 |
| ფიალა. | მისივე. | 122 |
| ჩემი ლოცვა. | ი. კერესელიძისა. | 177 |
| ამაოება. | მისივე. | 178 |
| ქ. მ. | ლ. ისარლოვისა. | 179 |
| ...ს. | მისივე. | 180 |
| რისთჳს მიყვარხარ? | თ. რ. ერისთავისა. | 181 |
| მელა და მაჩვი. | დ. მგალობლოვისა. | 182 |

მუსტაზადი. ბეს. გაბაშვილისა. 184
ბაიათი. ბეს. გაბაშვილისა. 158
ბაიათი. თ. ალ ჭავჭავაძისა. 239
კოლხიდელს. ი. კერესელიძისა. 240
კლდის უფალთადმი. თ. ი. ლორთქიფანიძისა. 242
იმერეთის მეფის სოლო-
მონის დედაზე ქეთევან
დედოფალზე ნათქვამი. თ. გ ჯ. ორბელიანისა. 243
მაზედვე ნათქვამი. თ. გ. ჯ. ორბელიანისა. 245

პროზა. გვერ.

შჳლი უმანკოებისა. ი. კერესელიძისა. 17
აღსასრული სოფლისა. თ. 125
შჳლი უმანკოების
განგრძელება. ი. კერესელიძისა. 185
ვაზის სნეულებისათჳს და
მისი წამლობა. ზ. მამაცოვისა. 52
სამგზავრო წერილები. ი. კერესელიძისა 13
მეფე ერეკლე მეორის
განჩინება. 114
მკითხველთადმი. ალ. სავანელისა. 169
პასუხი. ნოტა ბენისა. 223
ქვრივის ლიმონების
განხილვა. თ. ა. გ. ძ. ჯ. ორბელიანისა. 180

სხუა და სხუა ანბავი.

კენჭი კეთილშობილთა
და მოქალაქეთა ტფილი-
სში. თ.

გაგზავნა კეთილშობილთ
ყმაწვილკაცთ პეტერბურ-
ღში. თ.
გამოფენა ბუნებისა და
ჴელთა ნაწარმოების ნი-
მუშებისა ტფილის-ში. თ. 6
სალაყბო ფურცელი. მოლაყბისა. 12
მიწის-ძვრა იტალიაში. 173
მოლაყბისადმი. თ. ი. ლორთქიფანიძისა. 174
სალაყბო ფურცელი. მოლაყბისა. 228

---

Печатать позволяется Марта 1 дня, 1858 года.
Испр. должн. Груз. Цензора Св. Алексѣевъ.

«ცისკარი» 1858 წლისა გამოცემა
პირველს რიცხვს ყოველის თვისას, წიგნი
ჱ წიგნი ხუთის ფურცლიდამ რვამდის.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. ტფილის-ში, გაუ-გზავნელად ექვსი მანეთი თეთრი ფული.

შინ მიწოდებით ანუ სხვა ადგილებში გა-გზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

---

## ხელი მოიწერება:

ქ. ტფილის-ში, ქართულის ჟურნალის «ცის-კრის» რედაქცია-ში, კნიაზ ალექსანდრე ვახ-ტანგის-ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლ-ში.

---